**განახლებულია 01.05.2026 წ.**

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **ჟურნალისტიკა / Journalism** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი / Bachelor of Journalism |
| **პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი** | ინგა შამილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი - inga_shamilishvili@bsu.edu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)** | 180 ECTS |
| **სწავლების ენა** | ქართული ენა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით . |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჟურნალისტიკის სფეროში, რათა მათ შეძლონ:<br>✓ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება სამაუწყებლო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში;<br>✓ წვლილი შეიტანოს მედიის თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში, კრიტიკული, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მედიის განვითარებაში;<br>✓ ზოგადად მასმედიასა და ჟურნალიტიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზი;<br>✓ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.<br>✓ აქტიური მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც ჟურნალისტიკის, ასევე მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით. |

განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|---|---|
| სწავლის შედეგები | ✓ აღწერს ტრადიციული და ახალი მედიების ძირითად მახასიათებლებს, თეორიებს, სტრუქტურას. განასხვავებს ენობრივ–სტილისტურ მოთხოვნებს, ახდენს ჟანრების კლასიფიკაციას, იაზრებს ისტორიულ კონტექსტს;<br>✓ წარმოაჩენს მედიისა და ჟურნალისტის როლს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში;<br>✓ მოიპოვებს, აანალიზებს და განმარტავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას;<br>✓ ჩამოთვლის და განმარტავს მედიის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს;<br>✓ ამუშავებს აქტუალურ თემებს და ამოწმებს წყაროების სანდოობას;<br>✓ ეთიკური სტანდარტებისა და ენობრივ– სტილისტური ნორმების დაცვით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს და/ან ასრულებს კონკრეტულ კვლევით დავალებას;<br>✓ არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს პროცესებსა და მოვლენებს;<br>✓ მოიძიებს და შეარჩევს ახალ ინფორმაციას;<br>✓ პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს;<br>✓ ავლენს ზეპირ, წერილობით და სხვა სახის კომუნიკაციის უნარებს;<br>✓ პროფესიული საქმიანობისას ხელმძღვანელობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებითა და დარგობრივი სტანდარტით;<br>✓ შესაბამისი დარგობრივი, პრაქტიკული და კვლევითი ნაშრომების მომზადებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს. |